RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რუსეთის საგარეო პოლიტიკის მამოძრავებელი ფაქტორები

გიორგი ბადრიძე

163

ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გიორგი ბადრიძე

რუსეთის საგარეო პოლიტიკის მამოძრავებელი ფაქტორები

163

2021

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-8-3549-0

საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემის წარმომადგენლებს ხშირად არ ესმით, თუ რა ლოგიკით მოქმედებენ ავტორიტარული რეჟიმები. თანაც ეს თანაბრად ვრცელდება როგორც შედარებით კონსერვატიულ, ისე სრულიად ლიბერალურ პოზიციებზე მდგომ ადამიანებზე. ასეთ გაუგებრობას არაერთხელ მოუტანია კატასტროფული შედეგები. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი 1930-იანი წლების დაშოშმინების პოლიტიკაა. მიუხედავად იმისა, რომ ნევილ ჩემბერლენს მიუნხენის ხელშეკრულების დადებისას ომის თავიდან აცილების კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდა, ჰიტლერის და მისი რეჟიმის არსის ვერ გააზრებამ მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე სისხლიანი ომი მოუტანა.

ჩვენს ნაშრომში განხილულია რუსეთის პოლიტიკური სისტემის და მისი საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი, რომელიც დასავლურ დემოკრატიებში ზოგჯერ მცდარად ესმით, რასაც რუსეთის მეზობლებისა და თავად დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი გართულებები მოუტანია და ახლაც სერიოზულ საფრთხეს შეიცავს. ბუნებრივია, არ ვაპირებთ დავამციროთ სხვადასხვა თაობის ბრწყინვალე ანალიტიკოსის, დიპლომატის თუ პოლიტიკური ლიდერის ღვაწლი, რომელთა ძალისხმევით დასავლურმა ცივილიზაციამ არაერთხელ გაიმარჯვა ტირანიებთან ბრძოლაში. დღეს სამყაროს სწორედ ასეთი ლიდერები სჭირდება, რომლებიც მზად იქნებიან თვალი გაუსწორონ რეალობას, რომ ადამიანური ღირსების, თავისუფლების და დემოკრატიის იდეალებს კვლავაც ემუქრებათ მზარდი საფრთხე და რომ მათ დაცვა სჭირდებათ.

პრობლემაში გასარკვევად ჯერ ისტორიას უნდა მივმართოთ, რადგან რუსეთის და, განსაკუთრებით, მისი მმართველების შესახებ მცდარი წარმოდგენები და ზოგჯერ ნამდვილი მისტიფიკაცია საუკუნეების წინ იღებს სათავეს.

ალბათ, არავისთვისაა საკამათო, რომ რუსეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კულტურის კერა და, შეიძლება ითქვას, თვითმყოფადი ცივილიზაციაცაა: მან კაცობრიობას მისცა სწორუპოვარი მნიშვნელობის მწერლობა, მუსიკა და სამეცნიერო მიღწევები. შესაბამისად, ხაზი უნდა გაესვას, რომ რუსეთის ტრადიციულად ავტორიტარულ (უფრო ხშირად კი – ტირანიულ) პოლიტიკურ სისტემაზე საუბარი ოდნავადაც არ ამცირებს ჩვენს აღფრთოვანებას რუსული კულტურის სიდიადით. ოღონდ უცნაურად მიგვაჩნია, რომ პუშკინის გენიის გამო ვინმე ნიკოლოზ I-ის მოტრფიალე გახდეს ან

ბულგაკოვის, ახმატოვას და პასტერნაკის გამო სტალინის მიმართ სიმპათიით განიმსჭვალოს. არადა წარსული და დღევანდელობაც უხვად იცნობს დასავლელ ინტელექტუალებს, რომლებიც რუსული კულტურის გამო გულშემატკივრობდნენ რუსული სახელმწიფოს პოლიტიკას – სწორედ იმ რეპრესიულ მანქანას, რომელიც ხშირად ამ კულტურის შემქმნელებს ანადგურებდა.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ გარე დამკვირვებლების თვალში რუსეთი ხშირად იყო გახვეული მისტიფიკაციის ბურუსში. მაგალითად, ქართველ ინტელექტუალებს შორისაც კი, რომლებსაც, წესით, სხვებზე უკეთ უნდა სცოდნოდათ რუსეთი, დიდხანს არსებობდა „ორი რუსეთის“ მითი – კეთილის და ბოროტის. ამას თავისი მიზეზიც აქვს. რუსეთის შესახებ წარმოდგენის გაორება ჯერ კიდევ პეტრე I-ის დროს დაიწყო, რომელიც უეჭველად დიდი რეფორმატორი იყო. მან მცირე ბიზანტიური ელემენტების შემცველი, მაგრამ არსობრივად მონღოლური ტიპის რუსული მმართველობის სისტემა ევროპულ თარგზე გარდაქმნა, ღრმა შუა საუკუნეებში ჩარჩენილ რუსეთის ელიტას იძულებით წვერი მოპარსა და ევროპულად ჩააცვა. მოკლედ, მან ქვეყნის ნაწილი გარეგნულად ევროპას დაამსგავსა. მაგრამ რუსეთის არსი ამით დიდად არ შეცვლილა: ისევე, როგორც მონღოლური ურდოს დროს, რუსების აბსოლუტური უმრავლესობა დარჩა სრულიად უუფლებო მონის მდგომარეობაში, რომელიც ალექსანდრე II-ის რეფორმამდე ბატონის ქონებას წარმოადგენდა. აქედან მომდინარეობს პირველი შეცდომა – იმის ვერ გააზრება, რომ რუსული ტირანიის პირველი მსხვერპლი ყოველთვის საკუთარი ხალხი იყო, რომელსაც მმართველთა მრავალი თაობა დამპყრობელივით ექცეოდა.

ალბათ, ესაა მიზეზი, რომ პეტრეს რეფორმებმა მხოლოდ მისივე ტოტალიტარული მმართველობის ეფექტურობა და რუსული სახელმწიფოს ძალა გაზარდა, მაგრამ რუსულ საზოგადოებაში ბევრი არაფერი შეცვლილა. მაგალითად, დანარჩენი ევროპისგან განსხვავებით, რუსეთს გვერდზე ჩაუარა განმანათლებლობამ, რომელიც თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის ქვაკუთხედს წარმოადგენს. რაც ნიშანდობლივია, პეტრეს დროს არ შექმნილა რაიმე ღირებულების კულტურის თუ მეცნიერების ნიმუში (გარდა იმისა, რაც პირდაპირ იქნა იმპორტირებული დასავლეთ ევროპიდან), რადგან მონობა ამისთვის არაა ხელშემწყობი გარემო, ხოლო გაევროპელებული ელიტის განვითარებას, რომელმაც საბოლოოდ დიადი კულტურის შექმნა დაიწყო, სულ მცირე, კიდევ ერთი საუკუნე დასჭირდა.

ამგვარად ჩამოყალიბდა ევროპული ფასადის და აღმოსავლური ტირანიის უცნაური ნაზავი, რომელიც დღემდე არაერთ გარე დამკვირვებელს აბნევს. ამგვარ მისტიფიკაციას ტრადიციულად თავად რუსებიც ხალისით უწყობდნენ ხელს და თავიანთი ქვეყნის წინააღმდეგობრივ ბუნებას მის ხიბლად გვთავაზობდნენ. 1866 წელს რუსმა დიპლომატმა და პოეტმა ფიოდორ ტიუტჩევმა რუსეთის განსაკუთრებულობა შემდეგი სიტყვებით დაახასიათა:

Умом Россию не понять
Аршином общим не измерить
У ней особенная стать
В Россию можно только верить.

რუსეთის მისტიფიკაციის ცდუნებას თავისი პოლიტიკური გამჭრიახობით ცნობილი ბრიტანეთის უდიდესი პოლიტიკური ფიგურა – უინსტონ ჩერჩილიც კი ვერ ასცდა: „რუსეთი გამოცანაა, გახვეული საიდუმლოში, რომელიც ენიგმის შიგნით მდებარეობს“. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ 1941 წელს ჩერჩილი მხურვალედ მიესალმა სტალინის რეჟიმთან ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ მოკავშირეობის შესაძლებლობას, ის ცივი ომის ერთ-ერთ წინასწარმეტყველადაც მოგვევლინა, როცა ფულტონში თავისი ისტორიული სიტყვა წარმოთქვა და გავლენა მოახდინა შეკავების პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე.

როგორც აღვნიშნეთ, პრობლემა ისაა, რომ ბევრს დღესაც ვერ გაუგია რუსეთის. მათ გულწრფელად არ სურთ რუსეთთან დაპირისპირება, რაც ბუნებრივია, ოღონდ ურჩევნიათ სჯეროდეთ, რომ კონფლიქტის თავიდან აცილება შესაძლებელია უბრალოდ მასში მონაწილეობაზე ცალმხრივად უარის თქმით და კეთილი ნების გამომჟღავნებით, ურთიერთობების პერიოდული გადატვირთვით და გულითადი დიალოგით. დასავლეთში ბევრი დღესაც მიიჩნევს, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ, ჰარმონიული თანამშრომლობის ნაცვლად, ურთიერთობების გამწვავებაში თავად დასავლეთია დამნაშავე. ამის მაგალითად ხშირად ნატოს გაფართოება და რუსეთის „ალყაში მოქცევა“ მოჰყავთ, რაც, მათი აზრით, რუსეთის სამართლიან უნდობლობას და უკურეაქციას იწვევს. მიუხედავად თავისი სიმცდარისა, ამგვარ მოსაზრებას კიდევ ექნებოდა არსებობის უფლება, რომ არა არც ისე დიდი ხნის წინანდელი ისტორიული გამოცდილება (ამაზე ქვემოთ) და პუტინის შექმნილი (თუ აღდგენილი) პოლიტიკური სისტემა, რომლის სტაბილურობა პირდაპირაა დამოკიდებული მისი და ვიწრო წრის აბსოლუტურ ძალაუფლე-

ბაზე, რომელსაც პუტინი რუსეთის სიდიადის აღდგენით და გარე მტრებთან დაპირისპირებით ამართლებს.

მოდი, ვნახოთ, თუ როგორ ესმოდათ რუსეთის დასავლეთში შედარებით შორეულ და უფრო ახლო წარსულში და რა გაკვეთილების მიღება შეუძლიათ თანამედროვე პოლიტიკურ ლიდერებს საკუთარი გამოცდილებიდან. მიუხედავად იმისა, რომ უკვე არაერთხელ ვახსენეთ დასავლელი დამკვირვებლებისთვის რუსეთის ბუნებაში და მისი საგარეო პოლიტიკის მამოძრავებელ ძალებში გარკვევის სირთულეები, ისტორიის პრაქტიკულად ყველა ეტაპზე არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ზედაპირული ეფექტების მიღმა ამ ქვეყნის პოლიტიკური სისტემის რეალურ სახეს არჩევდნენ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1762 წელი, როცა ტახტიდან ჩამოაგდეს (და შემდეგ მოკლეს) პეტრე III. მისი ცოლის და რეალურად ძალაუფლების უზურპატორის ეკატერინე II-ის განცხადებით, ეს აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ პეტრეს მიერ შვიდწლიანი ომიდან გამოსვლამ „საფრთხე შეუქმნა რუსულ სახელმწიფოს და, რაც მთავარია, ჩვენს მართლმადიდებლურ რწმენას“. მისი თქმით, პეტრეს მიერ რუსული ჯარის გამოყვანამ და [პრუსიასთან] სამშვიდობო შეთანხმების დადებამ დააქცია რუსეთის დიდება, რომელიც ეფუძნებოდა რუსული იარაღის სისხლით მოპოვებულ გამარჯვებებს.[1] ეკატერინეს განცხადებას ირონიულობას სძენს ის ფაქტი, რომ პეტრესგან განსხვავებით, რომელსაც რუსული სისხლის ნაწილი მაინც ერია (მამით გერმანელი, ის გერმანიაში დაიბადა და გაიზარდა და რუსულს გაჭირვებით ფლობდა), თავად ეკატერინე ასპროცენტიანი გერმანელი იყო. მიუხედავად თავისი ხანმოკლე მმართველობისა, პეტრე III იმითაა მნიშვნელოვანი ფიგურა, რომ მისი უკიდურესი არაპოპულარობა და ძალაუფლების დაკარგვა ქვეყნის შიგნით შედარებით ლიბერალური რეფორმების ჩატარების მცდელობამ (მან ეკლესიის, ჯარის და ბატონყმობის სისტემის მოდერნიზაცია სცადა) და დასავლელ მეზობლებთან მშვიდობის დამყარებამ (პრუსიასთან დაზავებამ და შვიდწლიანი ომიდან გამოსვლამ) გამოიწვია. ამგვარი ბედი პრაქტიკულად ყველა რუსმა მმართველმა გაიზიარა, ვინც მსგავსი რამ სცადა. ამ თვალსაზრისით უნდა გამოიყოს ალექსანდრე II, გორბაჩოვი და ელცინი. სამივე ლიდერი მრავალი წინააღმდეგობრივი ნაბიჯითაა ცნობილი, განსაკუთრებით – ელცინი, რომელმაც ლიბერალური რეფორმების მცდელობის შემდეგ თავის მემკვიდრეობად პუტინი დატოვა, მაგრამ ფაქტია, რომ დღესაც კი რუსულ საზოგადოებაში სტალინს

და სხვა ტირანებს უფრო დიდ პატივს სცემენ, ვიდრე რომელიმე რეფორმატორს.

1762 წელს რომ დავუბრუნდეთ, ამ დროს ჩნდება ერთ-ერთი პირველი, თითქმის წინასწარმეტყველური, ცნობა რუსეთის შესახებ, რომლის მსგავსი ღრმა ანალიზი თითქმის 1946 წლის ჯორჯ კენანის გრძელ დეპეშამდე არ ყოფილა. პეტრე III-ის ტახტიდან ჩამოგდებიდან რამდენიმე თვეში სანქტ-პეტერბურგში საფრანგეთის დროებითი რწმუნებული ლორან ბერენჟერი სულ ერთ აბზაცში აღწერს რუსეთის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას და მისი ბუნებიდან გამომდინარე აკეთებს ზუსტ დასკვნას, თუ როგორ იმოქმედებს რუსეთი საგარეო ფრონტზე:

„თუ რუსეთის ამბიციას პასუხი არ გაეცა, მისი გავლენა, შესაძლოა, მომაკვდინებელი აღმოჩნდეს ამ ქვეყნის მეზობლებისთვის. კარგად ვუწყი, რომ რუსეთის რეალური ძალა არ უნდა შეფასდეს მისი უკიდეგანო ზომით და რომ აღმოსავლეთის ტერიტორიებზე მისი ბატონობა უფრო მოჩვენებითია, ვიდრე ნამდვილი ძალის წყარო. მაგრამ მე ასევე ვფიქრობ, რომ ერი, რომელიც სხვებზე უკეთ უძლებს უკიდურესი ჰავის პირობებს, რომელიც მიჩვეულია მონურ მორჩილებას და რომელიც მცირედით კმაყოფილდება ცხოვრებისთვის და ამიტომ შეუძლია ომის მცირე დანახარჯებით წარმოება... ამგვარი ერი, ვშიშობ, დაპყრობას დაიწყებს“.[2]

ეს წინასწარმეტყველება საკმაოდ ზუსტად ახდა და ქართველებმა ეს საკუთარ თავზე გამოცადეს: 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების საწინააღმდეგოდ, რომელიც მოკავშირეობას და მფარველობას გულისხმობდა, რუსეთმა ჯერ 1795 წელს ირანის შაჰ აღა-მაჰმად-ხანს აღმოსავლეთ საქართველოს და, განსაკუთრებით, თბილისის აოხრების საშუალება მისცა, ხოლო შემდეგ, 1801 წლიდან მოყოლებული, სისტემატურად გააქრო ქართული სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანი, მოშალა ბაგრატიონთა უძველესი დინასტია და მისი წარმომადგენლები იმპერიის სხვადასხვა კუთხეში გადაასახლა. მეფე გიორგი XII-ის ქვრივ მარიამ დედოფალთან რუსების მოპყრობის შესახებ სერიოზული რომანი დაიწერებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულმა მწერლობამ ამ თემას მორცხვად აუარა გვერდი. რუსებმა გააუქმეს არა მარტო სახელმწიფო თვითმმართველობა, არამედ ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და თავად სიტყვა საქართველოც წაშალეს რუკიდან. საინტერესოა, რომ თავის ჩვეულ სტილში რუსული ისტორიოგრაფია, რომელიც მუდამ სახელმწიფო პროპაგანდის სამსახურში იყო,

ამ ამბის სრულიად თავდაყირა დაყენებულ ვერსიას გვთავაზობს – რომ შეთანხმება არ დარღვეულა, ხოლო თუ დაირღვა, ის მეფე ერეკლემ დაარღვია, რომ მოკავშირეობის მოსურნე ქართლ-კახეთი თავისი ნებით ჩაბარდა რუსეთს გუბერნიად და ა.შ.

ლორან ბერენჟერის წინასწარმეტყველება რუსეთის სხვა მეზობლებსაც ცუდად აუხდათ, მაგალითად, პოლონეთს, რომელიც რუსეთმა საქართველოზე ადრე გააქრო რუკიდან. პოლონეთი პირველად 1772 წელს გაინაწილეს რუსეთმა, პრუსიამ და ავსტრიამ, ხოლო ბოლოჯერ რუსეთმა პოლონეთი ნაცისტურ გერმანიასთან 1939 წელს გაიყო.

XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის და ევროპის ცალკეული სახელმწიფოების ურთიერთობები პერიოდულად მოკავშირეობის სახეს იღებდა, როგორც წესი, რომელიღაც სხვა, ისევ ევროპული, სახელმწიფოს ან ალიანსის წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, ალექსანდრე I-მა ოთხჯერ შეცვალა თავისი ურთიერთობა ნაპოლეონის საფრანგეთთან მოკავშირეობას, ნეიტრალიტეტსა და მის წინააღმდეგ შექმნილ საომარ კოალიციებში მონაწილეობას შორის. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ავსტრიამ და პრუსიამ რუსეთი სიხარულით მიიწვიეს ევროპის ჟანდარმად, როცა მასთან ერთად „საღვთო ალიანსი“ დააარსეს. მიზანი ევროპაში სტატუს-კვოს შენარჩუნება და ევროპაში ლიბერალური თუ რევოლუციური პროცესების არდაშვება იყო. პირველ მსოფლიო ომში კი რუსეთი გერმანიის და ავსტრიის საპირისპირო ბანაკში აღმოჩნდა.

დასავლეთისთვის ნამდვილი შოკი აღმოჩნდა, როდესაც რუსული იმპერია თავისი ზეობის დროს შიგნიდან ჩამოიშალა. ეს პირველი მსოფლიო ომის ბოლოსკენ მოხდა, რომელშიც რუსეთი ანტანტის შემადგენლობაში მონაწილეობდა და თავისი ყველაზე თამამი ისტორიული ამბიციების განხორციელებას აპირებდა: თითქმის საუკუნოვანი წინააღმდეგობის შემდეგ ბრიტანეთი (საფრანგეთთან ერთად) დათანხმდა რუსეთის ხმელთაშუა ზღვაზე გამოსვლას და მას ომის შემდეგ კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) და სრუტეების დაკავებას დაეთანხმა. ოღონდ, ამის ნაცვლად, რუსული იმპერია ისე ჩამოიშალა, რომ თავისი ევროპული ტერიტორიის საკმაო ნაწილიც დაკარგა (ზოგი – დროებით, ზოგიც – სამუდამოდ). მიზეზი იმის მსგავსი იყო, რაც მოგვიანებით საბჭოთა იმპერიას დაემართა: რუსეთის ჩამორჩენილმა სოციალურ-ეკონომიკურმა სისტემამ ვერ გაუძლო იდეოლოგიურად მოტივირებული გეოპოლიტიკური ამბიციების ტვირთს.

მოკლევადიანი წინააღმდეგობის შემდეგ დასავლეთი შეეგუა რუსეთში ბოლშევიკური დიქტატურის დამყარებას. მალე აღმოჩნდა, რომ „მესამე რომის“ მისტიციზმისგან რადიკალურად განსხვავებული იდეოლოგიის მიუხედავად, ახალმა რუსეთმა ძველი იმპერიის მსგავსი ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. მიუხედავად ინტერნაციონალისტური ლოზუნგებისა, მის პირველ პრიორიტეტად იმპერიის მიერ დაკარგულ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენა იქცა, რაც სხვადასხვა წარმატებით განახორციელა. მაგალითად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა მან 1921 წელს სისხლისმღვრელი ომით მოახერხა. 1920 წელს პოლონეთმა წარმატებით დაიცვა თავი, მაგრამ 1939 წელს ისტორია განმეორდა, როდესაც მისი ტერიტორია ბოლშევიკებმა ნაცისტებთან გაიყვეს. ანუ საბჭოთა რუსეთის გეოპოლიტიკა და საგარეო ქცევა დიდად არ შეცვლილა იმპერიული რუსეთის დროიდან, რაც უფრო საკვირველს ხდის, თუ რატომ იყო დასავლეთი ასე დარწმუნებული, რომ ცივ ომში კომუნისტური იდეოლოგიის მარცხთან ერთად რუსეთის ქცევა რადიკალურად შეიცვლებოდა.

უნდა ითქვას, რომ რუსეთის მიმართ დასავლეთის დამოკიდებულება ომის წინა და ცივი ომის დასაწყისის პერიოდში საგანგებო ანალიზს მოითხოვს, რადგან, როგორც უკვე ვახსენეთ ზემოთ, ბევრი შეცდომა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე უცნაური სიჯიუტით მეორდება. ხაზი უნდა გაესვას, რომ სრულიად წარმოუდგენელი, უხეში შეცდომები რუსეთის აღქმაში უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწეებსაც მოსვლიათ, რომლებმაც ისტორიის მსვლელობას წარუშლელი და პოზიტიური კვალი დაამჩნიეს. აქ, პირველ რიგში, აშშ-ის პრეზიდენტი ფრანკლინ დ. რუზველტი იგულისხმება. რთულია იმის ახსნა, თუ რის საფუძველზე ჩამოუყალიბდა რუზველტს და მის ადმინისტრაციას უცნაური ნდობა და, შეიძლება ითქვას, სიმპათია სტალინის რეჟიმის მიმართ, მაგრამ ფაქტია, რომ ლიდერი, რომლის გარეშეც მეორე მსოფლიო ომის შედეგი შესაძლოა სხვანაირი ყოფილიყო, აშშ-ის ყველაზე ორგანულ მოკავშირე ჩერჩილზე უფრო კომფორტულად სწორედ სტალინთან ურთიერთობდა.

რუზველტს გულწრფელად სჯეროდა, რომ საბჭოთა რუსეთთან ომის შემდეგაც გაგრძელდებოდა გულითადი თანამშრომლობა და ახალი მსოფლიო წესრიგის საფუძვლად „ოთხი პოლიციელის“ სისტემას მოიაზრებდა[3], რომელშიც ის, პარადოქსულად, ყველაზე მეტად სწორედ სსრკ-ს ენდობოდა. ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ რუზველტის პირად კაპრიზს სულაც არ წარმოადგენდა. მის

ადმინისტრაციაში სტალინის და საბჭოთა კავშირის რადიკალური მომხრეებიც იყვნენ, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სსრკ-ში აშშ-ის რუზველტის ელჩი ჯოზეფ დევისი, რომელიც მოსკოვში 1936-1938 წლებში, სწორედ სტალინის მასობრივი რეპრესიების პიკის დროს მოღვაწეობდა, ხოლო ომის დროს რუზველტის სპეციალურ წარმომადგენელს ჰქონდა მოკავშირეებთან ურთიერთობა.

დევისმა, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიაში სახელმწიფოს მიერ საკუთარი ხალხის ჟლეტის ყველაზე მასშტაბური პროცესი პირდაპირ მის თვალწინ მიმდინარეობდა, მოახერხა, რომ სტალინის გულმხურვალე მომხრე და ნამდვილი პროპაგანდისტი გამხდარიყო. 1941 წელს დევისმა გამოსცა ავტობიოგრაფიული წიგნი „მისია მოსკოვში“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ „მსოფლიოს არცერთი ლიდერის შესახებ არ არსებულა ისეთი მცდარი წარმოდგენა, როგორც საბჭოთა ხელისუფლების შესახებ ორ მსოფლიო ომს შორის“. მეტიც, ის სრულად ამართლებდა არა მხოლოდ სტალინის მიზნებს, არამედ მის სისხლიან ტერორს და ღიად ამტკიცებდა, რომ 1937 წლის რეპრესიების მილიონობით მსხვერპლი სამართლიანად იყო განადგურებული. აღსანიშნავია, რომ წიგნმა უდიდესი წარმატება მოიპოვა და ბესტსელერად იქცა, ხოლო 1943 წელს მის მიხედვით უორნერ ბრაზერსმა მხატვრული ფილმიც გადაიღო.[4] მართალია, უცხო ქვეყნის ელჩის ადგილსამყოფელი ქვეყნით მონუსხვის შემთხვევა არცთუ იშვიათია, მაგრამ დევისი ყველასაგან გამოირჩევა. ის აშშ-ის ელჩიდან, რეალურად, სტალინის ელჩად გადაიქცა და ხელი შეუწყო მისი რეჟიმის და საბჭოთა რუსეთის მიმართ ცრუ წარმოდგენების კულტივაციას.

შესაძლოა, ამ ამბავს სტატიის თემასთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდეს, მაგრამ უნდა ვახსენოთ, რომ ჯოზეფ დევისის სახელი არც ისე დიდი ხნის წინ კვლავ ამოტივტივდა. 2017 წელს New York Times-მა გამოაქვეყნა ცნობა, რომ ბატონ ტრამპის პირადი გერბის დიზაინი პირდაპირ იყო გადმოღებული ჯოზეფ დევისის გერბიდან, რომელიც უკანასკნელმა 1939 წელს ჰერალდიკის სპეციალისტებს შეაქმნევინა. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ბატონმა ტრამპმა დევისის გერბზე არსებული დევიზი „პატიოსნება“ „ტრამპით“ ჩაანაცვლა.[5]

ზემოთ უკვე ითქვა, რომ კიდევ ერთი სენი, რომელიც დასავლეთის გარკვეულ წრეებშია დამკვიდრებული, არის აგრესორის ქცევის საკუთარი ქმედებებით გამართლება. როდესაც პუტინის მიერ რუსეთის ავტორიტარიზმისკენ შებრუნების და საგარეო

პოლიტიკაში მზარდი აგრესიის სრულიად უგულებელყოფა შეუძლებელი გახდა, დასავლეთში ზოგმა საკუთარი თავის დადანაშაულება გადაწყვიტა – ეს ჩვენ დავაფრთხეთ რუსეთი ნატოს გაფართოებით, ვამცირებდით და ვაიძულებდით საკუთარი უსაფრთხოების და ეკონომიკური ინტერესების დასაცავად აქტიურ ქმედებებზე გადასულიყო. მაგალითად, გერმანიაში ასეთ ადამიანებს Die Russland-Versteher-ს უწოდებენ („ვისაც ესმის რუსეთის"). ირონიას იწვევს, რომ სწორედ ამ ადამიანებმა არაფერი იციან რუსეთის შესახებ ან სულაც შეგნებულად იღვწიან დასავლეთში რუსეთის ინტერესების გასატარებლად საკუთარი ქვეყნების და დასავლური ფასეულობების საწინააღმდეგოდ.

აღსანიშნავია, რომ ამგვარ დამოკიდებულებასაც თავისი ისტორია აქვს და ეს კვლავ პრეზიდენტ რუზველტის გარემოცვას უკავშირდება. აშშ-ის ლიდერებისთვის მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა იმის თანდათანობით გააზრება, რომ საბჭოთა კავშირი ომის დასრულების შემდეგ არა მხოლოდ არ აპირებდა მოკავშირული ურთიერთობების გაგრძელებას, არამედ სტრატეგიული მოწინააღმდეგის პოზიციას იკავებდა. ეს რომ აშშ-ისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, თავისთავად უცნაურია, რადგან დასავლური დემოკრატიისადმი ბოლშევიზმის მტრული დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებას უკიდურესად და კატეგორიულად ჰქონდა გამოხატული (ბოლოს და ბოლოს, როცა საქმე არჩევანზე მიდგა, 1939 წელს სტალინი ნაცისტებთან წავიდა გარიგებაზე და არა – დასავლეთთან და დემოკრატიების მოკავშირე მხოლოდ იძულებით გახდა, როცა ჰიტლერმა ვერაგულად დაარღვია თავდაუსხმელობის პაქტი).

ამის მიუხედავად, მაშინვე გამოჩნდნენ პოლიტიკოსები, რომლებმაც საბჭოთა ექსპანსიონიზმის ახსნა დაიწყეს არა ბოლშევიკური რეჟიმის ბუნებით ან რუსული ტრადიციით, არამედ აშშ-ის და დასავლეთის ქმედებებით (იმდროინდელი Die Russland-Versteher). მათ ნაწილს მართლა არ ესმოდა, თუ რატომ არ უნდა ნდომებოდა საბჭოთა კავშირს აშშ-სთან, მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოსთან, ერთად ახლი ჰარმონიული სამყაროს დაფუძნება, რომელშიც ისინი თანასწორუფლებიანი პარტნიორები იქნებოდნენ. მათ შორის ყველაზე შორს რუზველტის ვიცე-პრეზიდენტი და ტრუმენის ადმინისტრაციის სოფლის მეურნეობის მდივანი ჰენრი უოლასი და მისი მიმდევრები წავიდნენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სტალინს აშშ-ის მიმართ უნდობლობა და მტრობა თავად ამერიკამ გაუჩინა, როცა უკეთ არ აუხსნა თავისი მშვიდობიანი განზრახვები.[6]

ცივი ომის დასაწყისში გაჩენილი კიდევ ერთი მოტივი, რომლის ექოც დღესაც კი ისმის, ასეთია: „კარგი, რუსეთს სურს გავლენის სფერო (ანუ ევროპის თავისუფალი ხალხებისთვის საკუთარი მმართველობის თავზე მოხვევა), მაგრამ არც ჩვენ ვართ უკეთესები“. იგივე ჰენრი უოლასი ამტკიცებდა, რომ ამერიკას არ ჰქონდა მორალური უფლება, ეწარმოებინა საბჭოთა კავშირის შეკავების პოლიტიკა, რადგან დასავლეთის და საბჭოთა რეჟიმის მორალური ეკვივალენტობის სჯეროდა. ის მიიჩნევდა, რომ საბჭოთა გავლენის სფერო ცენტრალურ ევროპაში სრულიად გამართლებული იყო და რომ აშშ-ის მიერ წინააღმდეგობის გაწევა (რეალურად, ევროპელი ხალხების თავისუფლების დაცვა) მხოლოდ ამწვავებდა ურთიერთობებს.[7] პრობლემის მოგვარების მისეული ხედვაც ზედმიწევნით ჰგავს ზოგიერთი თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწის თუ ანალიტიკოსის შეხედულებას – უოლასი ფიქრობდა, რომ ცივი ომის დასრულება შესაძლებელი იყო დაპირისპირებიდან მხოლოდ აშშ-ის ცალმხრივი გამოსვლით. თუკი ჰენრი უოლასის მსგავს ადამიანებს შეეძლოთ თავის მართლება საკუთარი სიბეცით, მაგალითად, რომ ვერ წარმოიდგენდნენ, თუ რას მოუტანდა საბჭოთა გავლენის სფეროში მოქცევა იმ ხალხებს, რომლებიც რკინის ფარდის აღმოსავლეთ მხარეს მოხვდნენ, მისმა დღევანდელმა მიმდევრებმა კარგად იციან, რომ აშშ-ის და რუსეთის მორალური ეკვივალენტობა სინამდვილეში არ არსებობს. მათ თვალწინ აქვთ ის განსხვავება, რაც ამ ორმა დიდმა ძალამ თავის გავლენის სფეროში დატოვა: რუსეთის გავლენამ ჩრდილოეთი კორეა და, უკეთეს შემთხვევაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოშვა, ხოლო აშშ-ისამ – სამხრეთი კორეა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

საბედნიეროდ, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ერთმანეთს დაემთხვა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ამერიკელმა დიპლომატმა, მოსკოვში აშშ-ის დროებითმა რწმუნებულმა ჯორჯ კენანმა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის და საგარეო ასპარეზზე მასზე დაფუძნებული ქმედებების გაბედული და ღრმა ანალიზი შესთავაზა თავის ხელმძღვანელობას, რომელიც ისტორიაში „გრძელი დეპეშის“ სახელით შევიდა. მეორე – ახალ პრეზიდენტს, მის ადმინისტრაციაში ჰენრი უოლასის მსგავსი ფიგურების არსებობის მიუხედავად, ეყო გამჭრიახობა და ხედვა, რომ ამ ანალიზზე დაყრდნობით უკუეგდო ყოველგვარი თვითდამაზიანებელი ილუზიები და თავისუფალი სამყაროს დასაცავად ამერიკის მხარდაჭერა და ლიდერობა შეეთავაზებინა. ჯორჯ კენანის შესახებ დაწერილ წიგნში ჯონ გადისი წერდა, რომ მისმა ანალიზმა ბევრად უფრო ნა-

თელი გახადა ადმინისტრაციის უმაღლესი წარმომადგენლების ხედვა: „ეს იყო გეოპოლიტიკური რენტგენის სურათის ეკვივალენტი, რომელმაც შემაშფოთებელი სიმპტომების სიღრმეში შეაღწია და ჯერ ნათელი მოჰფინა სიღრმისეულ რეალობას, შემდეგ შესაძლებელი გახადა მისი სწორად აღქმა და ბოლოს ხელი შეუწყო სწორი მკურნალობის არჩევას“.[8]

1990-იანი წლების დასაწყისის დასავლეთის ეიფორიის პირობებშიც კი, როცა მსოფლიო ჯერ კიდევ ეგუებოდა ცივი ომის შემდგომ ვითარებას, არსებობდნენ რეალისტები, ვინც აფრთხილებდნენ დასავლელ ლიდერებს, ბრმად არ მინდობოდნენ რუსეთის მიერ გაცემულ დემოკრატიზაციის დაპირებებს და ყურადღებას ამახვილებდნენ მეზობლების მიმართ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის უგულებელყოფის საფრთხეებზე. საინტერესოა, რომ ყველაზე ნათლად ამას ამბობდნენ არა ცნობილი იდეალისტები, რომლებსაც სხვებზე მეტად უნდა ეზრუნათ ახალბედა დემოკრატიების მომავალზე, არამედ რეალიზმის სკოლის ერთ-ერთი კლასიკოსი – ჰენრი კისინჯერი, რომელსაც ესმოდა, რომ მცდარ გათვლაზე დაფუძნებული დემოკრატიული პრინციპების ღალატი ცუდ რეალურ პოლიტიკას წარმოადგენს. 1994 წელს თავის „დიპლომატიაში“ კისინჯერი წერდა: „საერთაშორისო სისტემაში რუსეთის ინტეგრაცია ახალი საერთაშორისო წესრიგის უმთავრესი ამოცანაა. ამისთვის მას უნდა მიეცეს გულუხვი ეკონომიკური დახმარება და ტექნიკური რჩევები გარდამავალი პერიოდის შესამსუბუქებლად... მაგრამ რუსეთის რეფორმა მხოლოდ დაზარალდება, თუ თვალს დავხუჭავთ რუსეთის ისტორიული იმპერიალისტური პრეტენზიების გამოვლინებებზე. ახალი რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომელიც გაერომ უკვე აღიარა, არ უნდა შეეწიროს მათ ტერიტორიაზე რუსეთის უკონტროლო სამხედრო მოქმედებებს“.[9] სამწუხაროდ, კისინჯერის ეს გაფრთხილება წინასწარმეტყველური აღმოჩნდა.

შეერთებულ შტატებს და დასავლეთის არაერთ ქვეყანას დღესაც ჰყავთ მრავალი ბრწყინვალე ანალიტიკოსი, რომლებიც სიღრმისეულად იცნობენ კრემლის გარშემო აგებულ პოლიტიკურ სისტემას და მის ქცევას. სხვათა შორის, სრულიად სამართლიანი იყო, როდესაც საბჭოთა კავშირის შესწავლის სპეციალისტებს „კრემლინოლოგებს“, ანუ კრემლის სპეციალისტებს უწოდებდნენ, რადგან ეს ტერმინი ზუსტად გადმოსცემს რუსული პოლიტიკური სისტემის არსს. თავისი ისტორიის მანძილზე იმპერიული, საბჭოთა თუ დღევანდელი რუსეთის მოქალაქე საკუთარი სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემას და, შესაბამისად, მის პოლიტიკას საშინაო

თუ საგარეო საკითხებში ვერასდროს განსაზღვრავდა. პირიქით, კრემლი ქმნიდა და დღესაც ქმნის პოლიტიკურ დღის წესრიგს და მძლავრი პროპაგანდისტული მანქანის მეშვეობით თავად განსაზღვრავს უბრალო მოქალაქის – მასის პოლიტიკურ დაკვეთას. ამიტომ ხშირად ძნელი გასაგებია რუსი მმართველების მოქმედებების ლოგიკა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ გამო რუსეთის გრძელვადიანი ინტერესები ზიანდება. სწორედ ესაა რუსეთის პარადოქსი – რუსეთის მმართველები ხშირად ქვეყნის საზიანოდ და ყოველთვის საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობენ. ამის შედეგს ნებისმიერი ადამიანი მარტივად ნახავს, როგორც კი მოსკოვს გასცდება.

დასკვნისთვის შესაძლებელია საინტერესო იყოს რამდენიმე დაკვირვება და რეკომენდაცია:

- რუსეთი მართლაც განსხვავებულია და მისი ქმედებების ლოგიკის სწორად გაგება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ანგარიშს უწევთ ამ ქვეყანაში დამკვიდრებულ პოლიტიკურ სისტემას, როგორც ამ ქმედებების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს. ამ სისტემაში კრემლის პირველი პრიორიტეტი ძალაუფლებაზე სრული მონოპოლიის შენარჩუნებაა.

- დემოკრატიული მექანიზმით პუტინის მსგავსი რეჟიმისთვის ხელისუფლებაში მოსვლა და ძალაუფლების შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა, გამომდინარე მისი და მისი გარემოცვის უნარებიდან, ამიტომ საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების ნაცვლად ყურადღება გადატანილია იმპერიულ პროექტზე (რუსეთის სიდიადის აღდგენაზე) და გარე მტრების არსებობით მმართველობის ხარვეზების (მათ შორის, უკიდეგანო კორუფციის) გადაფარვაზე.

- შესაბამისად, მეზობლებზე ზეწოლა და დასავლეთთან დაპირისპირება (ან, სულ მცირე, მოსახლეობაში ამგვარი დაპირისპირების შეგრძნება) საგარეო ქცევის უმთავრესი პრიორიტეტია. დამკვირვებლებისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ეს სტრატეგია ჯერჯერობით ამართლებს, რუსების დიდ ნაწილს გამართლებულად მიაჩნია პუტინის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომი და შემცირებული რეიტინგის მიუხედავად, მისი ძალაუფლება მყარია.

- ამიტომ „დაპირისპირებიდან ცალმხრივად გამოსვლა“, „გადატვირთვა“ და თუნდაც ყველაზე კეთილშობილური მიზნებით და

კეთილი ნებით განპირობებული სხვა ცალმხრივი დათმობები არაფერს შეცვლის: კრემლი ამას მხოლოდ სისუსტის ნიშნად აღიქვამს და მისი კაპრიზის შესრულებას, როგორც ჯეროვანს მიიღებს, შემდეგ კი დაპირისპირებისთვის ახალ საბაბს იპოვის.

- თვალი უნდა გავუსწოროთ ფაქტს, რომ რუსეთის მთავარი რბილი ძალა კორუფციაა, რომლის ექსპორტსაც ის აქტიურად ეწევა. ადამიანები, რომლებიც დასავლური სოლიდარობის და ხშირად საკუთარი ქვეყნების ინტერესების საწინააღმდეგოდ რეალური პოლიტიკის თუ სხვა საბაბით რუსეთის ინტერესებს ლობირებენ, სულ უფრო ხშირად ხდებიან რუსული სახელმწიფო კომპანიების ხელფასის მიმღები.

- პუტინის მიერ ნატოს გაფართოების არდაშვება ეროვნული უსაფრთხოების მთავარ საკითხად გამოცხადება ნათელს ჰფენს მის რეალურ გეგმას: მან ზუსტად იცის, რომ ნატო რუსეთს თავს არასდროს დაესხმება (ამის არც მიზეზი არსებობს და არც ორგანიზაციული მექანიზმი), რუსეთს ღრმა ეკონომიკური კავშირები აქვს ნატოს წამყვან ქვეყნებთან და ყველაზე სტაბილური ურთიერთობები თავის იმ მეზობლებთან, რომლებიც ნატოში უკვე გაწევრიანდნენ, ხოლო უარესი (პრაქტიკულად, ომი) მათთან, ვისაც ნატო არ იცავს. დასკვნა აშკარაა: ნატო წარმოადგენს არა საფრთხეს, არამედ წინაღობას, რომელიც პუტინს ხელს შეუშლის ძალის გამოყენებაში მეზობლების მიმართ თავისი იმპერიული პროექტის განსახორციელებლად.

- დასავლეთმა ერთიანობით კაცობრიობის ისტორიაში წარმოუდგენელ წარმატებას მიაღწია. დღეს მისი ერთიანობის დარღვევა და საკუთარ პრინციპებზე უარის თქმა ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო მისი კეთილდღეობისთვის, არამედ უსაფრთხოებისთვისაც.

- აშკარაა, თუ რამდენად აშფოთებს აშშ-ს და დასავლეთს ჩინეთის აღმასვლა, მაგრამ რუსეთთან მისი ალიანსის არდასაშვებად პუტინის „მოთაფვლის“ სტრატეგია კრახისთვისაა განწირული. პუტინის პირველი ინსტინქტი რუსეთის გავლენის სფეროს აღიარება იქნება (საქართველოს მსგავსი ახალგაზრდა დემოკრატიების საბოლოო დამხობა), რაც შედეგად იმაზე უარესს არ მოიტანს, რაც რუსეთ-ჩინეთის არცთუ რეალისტური ალიანსი.[10]

- რუსეთის მიერ წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის მოშლის მცდელობებისათვის წინააღმდეგობის გაწ-

ევა სულაც არ ნიშნავს სრულმასშტაბიანი დაპირისპირების გარდაუვალობას, პირიქით, სისუსტის გამოვლინება მხოლოდ უბიძგებს რუსეთის აგრესიული ქმედებების გააქტიურებისკენ და მეტ ზარალს მოუტანს დასავლეთის ინტერესებს.

- დროა დასავლეთის სტრატეგია დაეფუძნოს საკუთარი გამოცდილებით შეძენილ ცოდნას და რეალობას და, რაც მთავარია, მისივე ძირეული ფასეულობებისა და სამართლიანობის პრინციპების ერთგულებას, რაც ასეთი საფრთხის ქვეშ ცივი ომის დასრულების შემდეგ არ ყოფილა.

შენიშვნები

1. Leonard, Carol S., The Reputation of Peter III, The Russian Review, Vol. 47, No. 3 (Jul., 1988), გვ. 263-292.
2. ფრანგი დიპლომატის ლერან ბერენჟერის მოხსენებითი ბარათიდან: Report of Laurent Berenger from St. Petersburg, September 3, 1762, in George Vemadsky, ed., A Source Book for Russian History: From Early Times to 1917, 3 vols. New Haven, Conn.: Yale University Press, 1972), vol. 2, გვ. 397.
3. რუზველტის გეგმით, მსოფლიო წესრიგი უნდა დაფუძნებოდა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, სსრკ-ის და ჩინეთის თანამშრომლობას.
4. https://www.tcm.com/video/116164/mission-to-moscow-original-trailer/
5. https://www.nytimes.com/2017/05/28/business/trump-coat-of-arms.html; https://www.bbc.com/news/world-us-canada-40097665
6. Kissinger, Henry, Diplomacy, Simon & Shuster, NY, 1994, გვ. 447.
7. იქვე, გვ. 464.
8. Gaddis, John Lewis, George F. Kennan: An American Life, Penguin Books, 2012.
9. Kissinger, Henry, Diplomacy, Simon & Shuster, NY, 1994, გვ. 818.
10. ჩინეთს მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა და ყველაზე დინამიკურად მზარდი ეკონომიკა აქვს. მას ესაზღვრება რუსული შორეული აღმოსავლეთის და ციმბირის მწირად დასახლებული და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი უკიდეგანო ტერიტორიები.